უწმინდესი პატრიარქის კირილეს თავმჯდომარეობით უმაღლესი საეკლესიო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 05.09.2023. 2023 წლის 5 სექტემბერს, მიტროპოლიტ ნიკოდიმის (როტოვი) გარდაცვალების 45 წლისთავთან დაკავშირებოთ **აღსრულებული პანაშვიდის** შემდეგ, მოსკოვის ქრისტე მაცხოვრის საკათედრო ტაძრის უმაღლესი საეკლესიო საბჭოს დარბაზში, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს თავმჯდომარეობით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი საეკლესიო საბჭოს მორიგი სხდომა **გაიმართა**.

შეხვედრის გახსნისას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი მიესალმა უმაღლესი საეკლესიო საბჭოს წევრებს და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც შემდეგ საკითხებს მოიცავს:

1. მოხსენება შეიარაღებულ ძალებთან და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის სინოდალური განყოფილების მუშაობის შესახებ (სტავროპოლისა და ნევინომისკის მიტროპოლიტი კირილე, დეკანოზი დიმიტრი ვასილენკო).

2. წლიური ანგარიში: საბაზისო საღვთისმეტყველო განათლების სისტემის განვითარება მონოზვნებისთვის. 2022 წლის შედეგი და 2023 წლის პერსპექტივები (კაშირის მიტროპოლიტი თეოგნოსტე, ილუმენი პეტრე (ერემეევი).

3. წლიური ანგარიში: საპატრიარქო საბჭოს საქმიანობა კულტურის სფეროში (ფსკოვისა და პორხოვის მიტროპოლიტი ტიხონი).

4. სლავური ლიტერატურისა და კულტურის დღის აღნიშვნის რეგიონული კომპონენტის გაფართოების შესახებ (ფსკოვისა და პორხოვის მიტროპოლიტი ტიხონი).

5. საღვთისმსახურო სახარების წარდგენა ინგლისურ ენაზე (ბალაშიხასა და ორეხოვო-ზუევოს ეპისკოპოსი ნიკოლოზი).

უმაღლეს საეკლესიო საბჭოში, რომელსაც უწმინდესი პატრიარქი თავმჯდომარეობს, შედიან:

მოსკოვის საპატრიარქოს ახლო საზღვარგარეთის ეპარქიების საქმეთა სამმართველოს უფროსი, კრუტიცკისა და კოლომნის მიტროპოლიტი პავლე;

მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი, ვოსკრესენსკის მიტროპოლიტი დიონისე;

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი;

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე, კალუგისა და ბოროვსკის მიტროპოლიტი კლიმენტი; მონასტრებისა და ბერმონაზვნობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე, კაშირის მიტროპოლიტი ფეოგნოსტე;

კაზაკებთან ურთიერთობის სინოდალური კომიტეტის თავმჯდომარე, შეიარაღებულ ძალებთან და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე, სტავროპოლისა და ნევინომისკის მიტროპოლიტი კირილე;

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საპატრიარქო კომისიის თავმჯდომარე, მურმანსკისა და მონჩეგორსკის მიტროპოლიტი მიტროფანე;

კულტურის სფეროში საპატრიარქო საბჭოს თავმჯდომარე, ფსკოვისა და პორხოვის მიტროპოლიტი ტიხონი;

რელიგიური განათლებისა და კატეხიზაციის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე, ეკატერინბურგისა და ვერხოტურის მიტროპოლიტი ევგენი;

მოსკოვის საპატრიარქოს ადმინისტრაციული სამდივნოს უფროსი, ოდინცოვოსა და კრასნოგორსკის მთავარეპისკოპოსი თომა;

საპატიმროებში მსახურების სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე, რამენის ეპისკოპოსი ირინარქე;

საეკლესიო ქველმოქმედებისა და სოციალური მსახურების სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე, ვერეის ეპისკოპოსი პანტელეიმონი; ახალგაზრდობის საქმეთა სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე, ისტრის ეპისკოპოსი სერაფიმე;

სინოდალური მისიონერული განყოფილების თავმჯდომარე, ლუხოვიცის ეპისკოპოსი ეფთვიმე;

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარე, დეკანოზი მაქსიმე კოზლოვი;

მოსკოვის საპატრიარქოს საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს თავმჯდომარე, არქიმანდრიტი ნიკანდრო (პილიშინი);

ეკლესიის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე ვ.რ. ლეგოიდა;

მოსკოვის საპატრიარქოს იურიდიული სამმართველოს უფროსი, იღუმენია ქსენია (ჩერნეგა).

შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი იყვნენ, ასევე, მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველის მოადგილე, ზელენოგრადის ეპისკოპოსი საბა; მოსკოვის საპატრიარქოს გამომცემლობის ხელმძღვანელი და მთავარი რედაქტორი, ბალაშიხასა და ორეხოვო-ზუევოს ეპისკოპოსი ნიკოლოზი; რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მონაზონთა განათლების უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე, იღუმენი პეტრე (ერემეევი); მთავარი სამხედრო მღვდელმსახური იმ სასულიერო პირთა შორის, რომლებიც ზრუნავენ რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებისა და სხვა ძალოვანი სტრუქტურების სულიერ გამოკვებაზე სპეციალური სამხედრო ოპერაციის ზონაში, დეკანოზი დიმიტრი ვასილენკოვი; ეკლესიის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა.ვ. შჩიპკოვი.

შეხვედრის დასასრულს უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ საეკლესიო ჯილდოები გასცა.

გულმოდგინე მღვდელთმთავრული შრომის გათვალისწინებით და დაბადების 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სტავროპოლის მიტროპოლიის მეთაური, შეიარაღებულ ძალებთან და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე, კაზაკებთან ურთიერთობის სინოდალური კომიტეტის თავმჯდომარე, სტავროპოლისა და ნევინომისკის მიტროპოლიტი კირილე დაჯილდოვდა მოსკოვისა და კოლომნის მიტროპოლიტის წმინდა მღვდელთმთავარ ინოკენტის II ხარისხის ორდენით.

წმიდა ეკლესიის საკეთილდღეოდ ჩატარებული სამუშაოების გათვალისწინებით და დაბადების 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქ. მოსკოვის წმინდა მონამეთა მიხეილისა და თეოდორე ჩერნიგოველთა სახ. ტაძრის წინამძღვარი, რუსეთის მართლმადიდებლი ეკლესიის სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარე, წმინდა მციქულთასწორთა კირილესა და მეთოდეს სახ. ზოგადსაეკლესიო ასპირანტურისა და დოქტორანტურის რექტორი, დეკანოზი მაქსიმე კოზლოვი პატრიარქის სიგელით დაჯილდოვდა.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90707/